სახალხო გაზეთი

№ 1132 ხუთშაბათი, 6 მარტი 1914 წ. № 1132

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით**. მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

გიორგი ალექსანდრეს ძე, ქეთევან ივანეს ასული, ალექსანდრე სამის ძე, ვლადიმერ, დავით ალექსანდრეს ძენი, ალექსანდრე გიორგის ძე ხმალაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნახევარ წლის თავზე, 8 მარტს, შაბათს, სოფ. აძვში, დანიშნულია წირვა და პანაშვიდი პირველი საყვარელი მეუღლის, დანარჩენი ძვირფასის ძმის და უკანასკნელი საყვარელის დედის

ვერა გრიგორის ასულის ხმალაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 148

გუშინ 5 მარტს ქ. ქუთაისში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანტონ მელქონის ძე არაზოვი,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **სუსანა ივანეს ასული, შვილები ნინო და მიხეილი, რძალი ემილია პეტრეს ასული და შვილი-შვილები სერგო და ვანო არაზოვები.** პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე. ქ. ქუთაისში, ლუკის შესახვევი, საკუთარი სახლი. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 154

ქართული თეატრი

ტელეფ. № 795.

ხუთშაბ., 6 მარტს, 1914 წ. ქართ. დრ. საზ. დასის მიერ

მაკელდინერების საბენეფისოდ

ქ-ნ ნ. ჩხეიძისა, კ. ყიფიანისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილ-იუჟინისა:

ღალატი,

დრამა 5 მოქ. თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი საბენეფისოა.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

ხარფუხის სახალხო აუდიტორია
(კლუბის შენობაში)

ხუთშაბათს, 6 მარტს, 1914 წ., ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პრინციპი,

ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებს წრის საუკეთესო ძალები.

დასაწყისი საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი მომატებულია 20 კ.-დან 1 მ.-დე.

მორიგე გამგეობის წევრი **არჩილ შათირიშვილი.**

რეჟისორი **ს. პეპანოვი.**

152

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობიაიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მეხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუქნერი მ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1088

ვაგზლის სამკურნალოში
(**შიხინავის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695**)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“.

1023

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქაშუეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12 **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთ. სნეულ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ვენერიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა.

განდეგილი. ლექსები ტფ. 1898 წ.	50 კ.
— ლექსები და მოთხრობები	50 „
გლახაშვილი. თანამედროვე პიესები 1908 წ.	30 „
— დაღი, დრ. 3 მოქმ. 1912 წ.	20 „
გულისაშვილი ი. ორი პიესა 1895 წ.	50 „
წერეთელი აკაკი. თხზულებანი ტ. 1-ლი 1893 წ.	1 მ.— „
— ტ. 2-ე „	1 მ.— „
— ჩემი ნაწერები ტ. 1-ლი 1912 წ.	75 „
— „ „ ტ. 2-ე 1913 წ.	75 „
— იგავ-არაკნი	50 „
— თორნიკე ერისთავი 1908 წ.	35 „
— ჩემი თავგადასავალი 1903	1 მან.
— კიკოლას ნაამბობი „	20 კ.
— ბაში აჩუკი „	30 „
— ოთია მესხი და ბეჟურიშვილი	10 „
— ნათელა 1911 წ.	20 „
— ქართველ. ვანმ. ხინო	10 „
— თამარ მეფე	5 „
— ოცნება 1913 წ.	10 „
— ვაჭრული ჭკუა 1903 წ.	5 „
— ბაგრატ დიდი 1911 წ.	10 „
— ყვითელი სანთელი 1896 წ.	10 „
— რჩეული ლექსები 1908 „	10 „
წერეთელი გ. ჩვენი ძველი გმირები ტფ. 1898 წ.	30 „
— თხზულებანი ტ. 2-ე 1893	60 „
ჭყონია ილია. ნაწერები ტფ. 1913 წ.	1 მან.— „
ქორჩქიძე გ. თხზულებანი ქ. 1913 წ.	75 „
ჭავჭავაძე ალ. ლექსები 1881 წ.	30 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

1072

ახლად გაიხსნა
სასტუმრო სასადილო
„სინათლე“

სუფთა ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანი მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

ყოფილი „სიცილია“ და „არარატი“

პატ. ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოსები“.

1077

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოსხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტ ე ლ ე ფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აგაჯანოვი მიხეილ—საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914“, „606“. 1040

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1084

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ თელავ ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ბერლინის უნივერსიტეტის

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1087

ქ. გ ო რ შ ი

ექიმი (დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი). მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ.

10[illegible]

ექიმი პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ნაძალადევში
ექიმი ხუდადოვის ქ., 4.
ი. რ. სურგულაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. **შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.** 141

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი **გადავიდა** ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. **შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვეა გამართული ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 787.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და** კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ჩვენებური ზომიერება

ერთს უცნაურ მოვლენასთან გვაქვს საქმე: ჩვენში არსებობენ ზომიერები, მაგრამ არ არსებობს ზომიერთა პარტია, ე. ი. ერთის მიზნებითა და სამოქმედო გეგმით გაერთიანებული, შეკავშირებული ჯგუფი. როდესაც საზოგადოებაში რაიმე იდეიური დიფერენციაცია, განაწილება ხდება, ჩნდება ახალი რამ იდეიური მოძრაობა, იგი მომხრეებსაც იძენს და ამ რიგად ფეხს იკიდებს ესა თუ ის საზოგადოებრივი მიმართულება, პოლიტიკური პარტია ან ჯგუფი. ზომიერებს ასე არ ემართებათ. გარეგნულად რომ შეხედოს ადამიანმა, თითქოს არსებობს კონტიგენტი ზომიერთა პარტიის დასაარსებლად. ჩვენი საზოგადოებაც ხომ ჩვეულებრივი ბურჟუაზიულია, და როგორ შეიძლება ასეთს საზოგადოებაში ბლომად არ მოიძებნებოდეს მასალა ზომიერთა პარტიის დასაარსებლად? არიან უკმაყოფილონიც, პროტესტანტები, რომელნიც ვერას გზით ვერ შეჰრიგებიან იმ გარემოებას, რომ ჩვენში მხოლოდ სოციალისტურ პარტიებსა აქვთ მოხვეჭილი გეგემონია. რა თქმა უნდა, იქ, სადაც არამც თუ ჯერ ფეოდალური ნაშთებიც არ აღმოფხვრილა, ძველებურ, ტრადიციულ თავად-აზნაურულ ჩვეულებებსა და აზროვნებასაც კი მაგრადა აქვს ფესვები გადგმული, ვერაფერი სასიამოვნო სანახავი იყო სოციალისტის მანტიაში გამოწყობილი ადამიანი. თავად-აზნაურულ ტრადიციებზე აღზრდილი გონება ამას ვერ მისწვდება და არც ჰსურს მისწვდეს. მას სულ სხვა რამ სწყურიან, სულ სხვანაირია მისი მისწრაფება, რომელსაც უფრო ხშირად ტრადიციით გადმოცემული ჩვეულებანი ასაზრდოებს.

ექვს გარეშეა, ზომიერთა პარტიის დასაარსებლად მასალა დიდია, ზომიერები არსებობენ, მაგრამ მათი კავშირი კი შეუძლებელი გახდა. თითონაც ჰგრძნობენ, რომ სრულიად ტყუილად მისჩანჩალებენ კუდში მემარცხენეებს, ჰგრძნობენ, რომ მათი აზროვნება და გზები სულ სხვა და სხვანაირია, მაგრამ მაინც ვერ შეთანხმებულან და საერთო სახელმძღვანელო გეგმა ვერ შეუმუშავებიათ. წაიკითხეთ მაგალითად „კლდე“, და „ზაკავკ. რეჩ“-ი. იყო ისეთი წერილები, რომლებსაც ერთიერთმანეთისაგან ვერ გამოარჩევდით. „ზაკავკ. რეჩ“-ი იმეორებს „კლდე“-ს და „კლდე“—„ზაკავკ. რეჩ“-ს. გასაოცარი ერთსულოვნება არსებობს მათ შორის, იდილიური თანხმობა, მაგრამ გადაშლით რამდენიმე ნომერს და დაინახავთ, რომ „კლდე“ რიხიანად გაიძახის, მე ეროვნულ საკითხში ყველაზე რადიკალი ვარო; „ზაკ. რეჩ“-ი ამ დროს დიდის სიამოვნებით ბეჭდავს ისეთს წერილებს, რომელსაც ნათლად აზის ბეჭედი პოლიტიკური ლაქიობისა. რადიკალი და პოლიტიკური ლაქია დღეს რომ ერთნაირ კილოზე სწერენ, ხვალ ერთმანეთს ებრძვიან. ხან მეგობრები არიან, ხან მტრები. როგორც დრო მოიტანს და როგორც უხელმძღვანელებს მათ ბრმა გრძნობა და არა შესისხლხორცებული აზროვნება და განსაზღვრული პოლიტიკური დისციპლინა.

თვით მათის წარმოდგენით, ყველა უბედურება იმისაგან წარმოსდგება, რომ ვიღაცა რაღაცას უშლის. სხვაგან ეძებენ მიზეზს უბედურებისას, რომელიც თავის საკუთარ არსებაში უნდა ეძებონ. როგორა ხდება, რომ არსებობს კონტიგენტი ზომიერებისა, მაგრამ მაინც ვერ შეკავშირებულან? გარეშე მაყურებელისთვის ეს ადვილი ასახსნელია. უმთავრესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ **მათ სახელმძღვანელო პრინციპები არა აქვთ.** შეუძლებელია შეკავშირება, შეთანხმება, საერთო სამოქმედო გეგმის შემუშავება იქ, სადაც არ არსებობს მინიმუმი მაინც ყოველთვის სავალდებულო პრინციპობისა. ჩვენებური ზომიერები აწ არსებულ სახელმძღვანელო პრინციპებს ახალს პრინციპებს კი არ უპირისპირებენ, არამედ პროტესტს აცხადებენ თვით პრინციპების წინააღმდეგ და იგი რაღაც ზედმეტ ბარგად მიაჩნიათ. ამიტომ არის, რომ ირონიულად იხსენიებენ ყველა იმას, ვინც თავის პრაქტიკულ მოქმედების დროს რაიმე პრინციპებით, იდეებით ხელმძღვანელობს და არა ბრმა გრძნობით, ან იმპულსით. ამის შემდეგ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ზომიერებში ზოგი ელთას მიდის, ზოგი ბალთას და ერთი სწერს იმას, რასაც მეორე უარჰყოფს; ხან კი დიდის ტრფიალებით ეკვრიან ერთმანეთს გულში.

მეორე უმთავრესი მიზეზი არის სრული პოლიტიკური მოუმზადებლობა. პოლიტიკურ პარტიის შესაქმნელად საჭიროა არა მარტო განსაზღვრული პრინციპები და იდეიური დასაბუთება საკუთარი პოზიციებისა, საჭიროა ერთგვარი პოლიტიკური სკოლის გავლა, პოლიტიკური აღზრდა. ამ მხრით ჩვენებური ზომიერები ნამდვილი პოლიტიკური ბავშვები არიან, პოლიტიკური ცხოვრებისა და საქმიანობის ანბანიც კი არ გაუვლიათ. ან რა პოლიტიკური აღზრდა უნდა მოეთხოვოს ადამიანებს, რომელთა აზროვნება ახალი კლუბის დარბაზებში იქმნება! ეს ისეთივე კარგი ადგილია პოლიტიკურ აღზრდის მისაღებად, როგორც პარლამენტი ბანქოს სათამაშოდ.

პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად საკმარისი არ არის ბრმა უარყოფა იმისა, რაც სხვისაში არ მოგწონს. ეს მხოლოდ ერთი ელემენტია. მარტო ამ მასალით არავითარი შენობის აგება არ მოხერხდება. საჭიროა მეორე, უფრო საჭირო მასალა, რომელიც ჩვენებურ ზომიერებს არ მოეპოვებათ—პოლიტიკური აღზრდა და საერთო სახელმძღვანელო პრინციპები. საკმარისია ზომიერთა რომელიმე ჯგუფმა მოისურვოს ამ საერთო სახელმძღვანელო, ცოტად თუ ბევრად მოზრდილ ჯგუფისთვის სავალდებულო პრინციპები, რომ ნათლად გამოჩნდეს მთელი შინაგანი გახრწნილება ჩვენებური ზომიერებისა და სრული პოლიტიკური სიმჩატე. ნათლად გამოჩნდება ეს იმიტომ, რომ ჩვენებური ზომიერები ჯგუფდებიან და უკმაყოფილებას აცხადებენ მემარცხენეთა წინააღმდეგ არა პოლიტიკური ინტერესისთვის, არა იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთა პოლიტიკური მისწრაფება არ მოსწონთ, არამედ ისეთის მოსაზრებით, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ პოლიტიკასთან. საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს ხოლმე წვრილ-წვრილი, ყოველ-დღიური საკითხები და ინტერესები. ასეა თუ ისე, ჩვენში მაინც არსებობს ბანკები, სხვა და სხვანაირი საფინანსო დაწესებულებანი, სადაც მოხერხებულ ადამიანს ყოველთვის შეუძლიან ხელი მოითბოს. აი ამ ყოველ-დღიურ—ინტერესების გარშემო ჩნდებიან ჯგუფები, რომელთაც ჰსურთ გავლენა მოიპოვონ ამა თუ იმ დაწესებულებაში. აქ ფუსფუსებენ ჩვენებური ზომიერები, გარს უვლიან და ათასნაირის ხრიკებითა და კომბინაციებით ცდილობენ გავლენის გაძლიერებას. რადგანაც ჯგუფობრივი ინტერესი მხოლოდ ჯგუფობრივი ინტერესია და სხვა არაფერი, რადგანაც არავითარი მაღალი მისწრაფება ამნაირ ხალხს არ ამოძრავებს, ამიტომ ხშირად ეჩხუბებიან ერთმანეთს, მაგრამ ძალიან ხშირად კიდეც დამოყვრდებიან ხოლმე. მოიგონეთ, თუნდაც, კახეთის რკინის გზის ამბავი! ერთს მხარეს „კლდე“, მეორე მხარეს „ზაკავკ. რეჩ“-ი. ერთმანეთის მოსისხლე მტრები იყვნენ. გაიარა ხანმა და დღეს მეგობრულის კილოთი ელაპარაკებიან ერთმანეთს ახალ კონფლიქტამდე, როდესაც რაიმე ვიწრო ჯგუფობრივი ინტერესები იჩენს თავსა.

განა შესაძლებელია ასეთი ელემენტისაგან რაიმე პოლიტიკური პარტია შეიქმნეს? ყოვლად შეუძლებელია. იქ, სადაც პრინციპიალური საქმიანობა სამასხაროდ არის გამხდარი, იქ, სადაც ეს საზოგადოებრივი აზროვნება კლუბის დარბაზებში მუშავდება, არავითარი პოლიტიკური პარტიის დაარსება არ შეიძლება. იქნებ, ზოგიერთის მოსაზრებით, ზომიერთა პარტიის დაარსება სასარგებლოც იყოს, მაგრამ ძალიან შესცდება, ვინც იფიქრებს, რომ ამ უფორმო ცომისაგან, რომელსაც ჩვენებური ზომიერები წარმოადგენენ, რაიმე პოლიტიკური პარტიის დაარსება შეიძლება.

ზომიერობა და რეალური პოლიტიკა იქნება ჩვენს გულს არაფერს ეუბნებოდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ყველას შეუძლიან რეალური პოლიტიკის შექმნა.

პოლიტიკური აღზრდა და პრინციპები იმისთვისაც არის საჭირო. ეს პრინციპები კლუბის ლაბორატორიასა და რესტორანებში ვერ გამოცხვება.

არ. ჯ—შვილი.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

4 მარტის სხდომა.

ჯერ **როძიანკო** თავმჯდომარეობს, მერე **ვარუნ-სეკრეტი**. სენატის რეფორმათა კანონ-პროექტის განხილვა გრძელდება. მიიღეს მუხლები: მეთვალყურეობა სენატის ბრძანებათა აღსრულებისა, სენატორთა უფლებისა, მოვალეობისა და ზედამხედველობისა და სენატის კანცელარიისა. პროგრესისტების რედაქციით მიიღეს მუხლი, რომლითაც ყველა განმარტება დეპარტამენტისა, აგრეთვე შეერთებული კრებებისაც, რაც კანონების ნამდვილს აზრსა ხსნის თავმჯდომარის განკარგულებით უნდა გამოქვეყნდეს განსაკუთრებულ კრებულში. მიიღეს ის განყოფილება, რომლის თანახმადაც პირველისა, მეორისა, მესამისა, გეროლდიისა და სასამართლო დეპარტამენტების სენატორებს ჯამაგირიდან ენიშნებათ 10,000 მანეთი წელიწადში; ამის გარდა ამ დეპარტამენტების თავმჯდომარეებს კიდევ ზედ-მეტი 2,000 მანეთი ეძლევათ. თითქმის უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტის დანარჩენი განყოფილებანი.

კერენსკი რიგს გარეშე განცხადებით შრომის ჯგუფის სახელით პროტესტს გამოსთქვამს, რატომ თავმჯდომარემ საგარეო პოლიტიკის შესახებ გამართულ თათბირზე მთავრობის წარმომადგენლებთან გლეხობისა და მუშა ხალხის წარმომადგენლები არ მიიწვიაო; ეს ხალხის წარმომადგენელთა უფლების შეზღუდვაა. ამასთანავე ყველა ქვეყნის მუშა ხალხის ძმობისა და ერთობის სახელით პროტესტს აცხადებს რეაქციონურ და კაპიტალისტურ წრეების მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომელთაც უნდათ შეიარაღებული შეტაკება გამოიწვიონ მეზობელ ერებში.

ჩხეიძე რიგსგარეშე განცხადებით პროტესტს გამოსთქვამს საზოგადო აზრის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, და დასძენს: რასაკვირველია, სოც.-დემოკრატები არ წავიდოდნენ თათბირზე, სადაც ხალხის სახელით თამასუქებს აძლევენ ს.-დ. ყველა ღონეს იხმარებენ, როდესაც ამ თამასუქს გასანადგურებლად ხალხს წარუდგენენ, ხალხმა ეს არ იკისროს.

სათათბირომ მიიღო 5 წვრილმანი კანონ-პროექტი. დიდი კამათი გამოიწვია კანონ-პროექტმა, რომლითაც ყოველ წლივ ანდრეევის ველიკოროსიულ ორკესტრს 25.000 მანეთი უნდა სძლეოდა ხაზინიდან.

მომხსენებელი **გოდნევი**. საბიუჯეტო კომისია წინადადებას იძლევა ეს პროექტი უარჰყოს.

პროექტს იცავენ **კოვალევსკი, ცილინი მეორე** და **პურიშკევიჩი**; გლეხები **ევსეევი, ფირსოვი მეორე, ციგანოვი** და **ტარანოვი** პროექტის წინააღმდეგ ლაპარაკობენ. კანონ-პროექტი 164 ხმით 107 ხმის წინააღმდეგ უარჰყვეს.

განსახილველია შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვა პოლიციის პეტერბურგის მოხელეთა კირხნერის სტამბის გაფიცულ მუშათა მიმართ უკანონო მოქმედების გამო. შეკითხვას სისწრაფეს ემხრობიან **ტულიაკოვი** და **მანკოვი**, რომელთაც დამამტკიცებელი საბუთები მოჰყავთ მუშების უუფლებობისა და მათს წინააღმდეგ ადმინისტრაცია. პოლიციის ძალმომრეობისა. სათათბირომ შეკითხვა სწრაფ განსახილველად ჩასთვალა, ხოლო შემდეგ შეკითხვა უარჰყო.

ირჩევა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ს.-დემოკრატების სასწრაფო შეკითხვა, რომელიც ეხება პეტერბურგის პოლიციის უკანონო მოქმედებას, რაც იმით გამოიხატა, რომ პეტერბურგელ მეგაზეთეებს „პუტ პრავდის“ ნომრებს ართმევდნენ.

ბადაევი სისწრაფეს იცავს და ლაპარაკობს მუშათა პრესის აუტანელ მდგომარეობის შესახებ:

მალინოვსკი. ხშირად საცენზურო კომიტეტის მიერ ნება-დართულ გაზეთებს ადმინისტრაცია სპობს. ასეთი ამბები ყოველ-დღიურ მოვლენად ხდება არა თუ პეტერბურგში, პროვინციაშიცო.

შეკითხვის სისწრაფე უარჰყვეს. შეკითხვა კომისიას გადაეცა. შემდეგი კრება 5 მარტს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კახეთის რკინის გზა.** ამ ჟამად ნავთლუღიდან საგარეჯომდე გზა მზად არის. გაკეთებულია დროებით სადგურებიც, რომლის უფროსებიც უკვე დანიშნულია. იმედი აქვთ, მაისისთვის გზა მზად იქნება მელაანამდე და იქ მატარებლების დროებითი მოძრაობა დაიწყება.

◆ **საფოსტო წერილების მიღება** დაიწყო ახალქალაქის (გორის მაზრა) სასოფლო სამმართველოში.

◆ **გუბერნატორმა ნება დართო** უფასო და იაფფასიან სასადილოებისა და საჩაიების საზოგადოებას, გამართოს 13 აპრილს სეირნობა თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **მინდვრის თაგვი.** ტფ. მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელი შუამავალი გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობს, დაუყოვნებლივ გაჰგზავნოს ინსტრუქტორ-აგრონომი შესაფერ ღონისძიებათა მი-

ალექსანდრე ბატონიშვილი

(ისტორიული ამბავი). *)

1798 წელს, იანვრის 11-ს, თელავში გარდაიცვალა მეფე ირაკლი II. [1] მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა მისი უფროსი შვილი გიორგი XII, რომელიც ამ დროს 49 წლისა იყო. ირაკლის გარდაცვალების დროს გიორგი თელავში არ იმყოფებოდა. ის ტფილისში იყო გაგზავნილი დედოფალ დარიასაგან, რომლისაგანაც მინდობილი ჰქონდა ტფილისის ხელ-ახლა გაშენება, სპარსელებისაგან აოხრების შემდეგ. გიორგიმ, გაიგო თუ არა მამის სიკვდილი, მაშინვე ფიცი მიაღებინა ქართლსა და ბორჩალოს და ამის შემდეგ კახეთს გაეშურა და მამის ტახტი დაიჭირა. დარია დედოფალმა კი განგებ გაგზავნა გიორგი ტფილისს. მან იცოდა, რომ ირაკლის დღენი დათვლილი იყო, ამისათვის უნდოდა, რომ ქმრის გარდაცვალების დროს შინ არ ყოფილიყო პირდაპირი ტახტის მემკვიდრე გიორგი, ამით ესარგებლა და ტახტზე თავისი საყვარელი შვილი იულონ აეყვანა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. გიორგი XII-ს შემდეგ კანონის ძალით, ტახტის მემკვიდრედ გიორგის შვილები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მეფე ირაკლი უკანასკნელ დღეებში თავს ცუდად გრძნობდა, მის სამეფოს ფაქტიურად მისი მეუღლე დედოფალი დარია განაგება. დარია დედოფალი მეტად დიდებისა და უფლების მოყვარე ადამიანი იყო. როდესაც მეფე ირაკლიმ თავის მემკვიდრედ უფროსი შვილი გიორგი დანიშნა, დარიამ გიორგის მემკვიდრედ, წინააღმდეგ არსებულ კანონისა, თავისი საყვარელი შვილი იულონი დაანიშვნინა. ირაკლის ესმოდა თუ რა უკანონობას სჩადიოდა, მაგრამ ვერა გააწყო-რა მეუღლის წინააღმდეგ. [2]

მეფე ირაკლიმ თავის სიცოცხლეში, ტახტის მემკვიდრის დანიშვნის გარდა, მთელი სამეფო ნაწილ-ნაწილად დაჰყო თავის შვილების შორის. თვითეული მათგანი ვალდებული იყო ჯარი გამოეყვანათ საჭიროებისამებრ სამშობლოს დასაცველად. ბატონიშვილებს ფარნაოზსა და ალექსანდრეს, როგორც მცირე წლოვანთ წილად ხვდათ დედოფლის მამულები, რომელიც მათზე გადავიდოდა დედოფლის სიკვდილის შემდეგ. დარია დედოფალი მამულების ასეთი განაწილებით კმაყოფილი არ დარჩა. მისი ფიქრით, მისი შვილები, მეფის სიკვდილის შემდეგ, მამულის სიმცირის გამო, ცხოვრებას ვერ შესძლებდნენ, ამისათვის ხელ-ახლად მოითხოვა მამულის გაყოფა, რაც ირაკლიმ აასრულა. მეორედ მამულების დაყოფის დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, დარიამ საუკეთესო და მომეტებული ადგილები ჩაიგდო ხელში. ამ გარემოებამ და აგრეთვე უკანონოდ ტახტის მემკვიდრედ დანიშვნამ შფოთი და განხეთქილება გამოიწვია მრავალ-რიცხოვან ირაკლის ოჯახში, რომელიც 80 სულამდის იყო.

დარია დედოფლის ცბიერებამ და მასთან ერთად შინაურმა განხეთქილებამ და შინაური საქმეების აწეწდაწეწამ მოუღო ბოლო ირაკლი მეორის სამეფოს და მიიყვანა იგი რუსეთის იმპერატორის სასახლის კარებამდის.

გიორგი XII-მ ტახტზე ასვლის შემდეგ, მიმართა რუსეთის იმპერატორს პავლეს თხოვნით, რათა დაემტკიცებინათ იგი ქართლ-კახეთის მეფედ და მის მემკვიდრედ კი მისი შვილი დავითი და არა იულონი, როგორც იყო მეფე ირაკლის ანდერძში ნათქვამი. იმპერატორმა პავლემ შეიწყნარა გიორგის თხოვნა, დაამტკიცა იგი მეფედ და მისი შვილი დავითი კი მისს მემკვიდრედ. 18 აპრილს 1799 წელს, პავლემ საქართველოში დანიშნა თავის რწმუნებულ მინისტრად სტატსკი სოვეტნიკი კოვალენსკი.

ამავ წლის 26 ნოემბერს, ტფილისში მოვიდა რუსის ეგერის პოლკის ჯარი გენერალ-მაიორი ლაზარევის უფროსობით და შემდეგ 1800 წელს, 23 ენკენისთვეს, მათ გასაძლიერებლად კაბარდინის მუშკატერის პოლკი გენერალ-მაიორი გულიაკოვის უფროსობით. მინისტრმა კოვალენსკიმ გიორგი მე-12-ს ჩამოუტანა ნიშნები მეფის „ინვესტიტურისა“—სამეფო ტახტი, იმპერატორის გრამოტა და ორდენი წმ. ანდრია პირველწოდებულისა. აგრეთვე ებოძათ საჩუქრები და ორდენები სამეფო სახლის სხვა წევრებსაც.

12 დეკემბერს 1799 წელს გიორგი მე-12-მ სიონის ტაძარში ფიცი მიიღო მინისტრ კოვალენსკის და გენერალ ლაზარევის თანადასწრებით. ფიცის შემდეგ გიორგი დაბრუნდა სასახლეში, სადაც, სამეფო ტახტზე მჯდომარემ, მილოცვები მიიღო მინისტრ კოვალენსკისაგან, საკუთარ მოხელეთაგან, განჯის და შუშის ხანების რწმუნებულთაგან და ახალციხის ფაშისაგან. ქალაქი ღამით გაჩირაღდნებული იყო და ყველაფერს დღესასწაულის ელფერი ედო. გიორგის ძმები, ბატონიშვილნი, არ გამოცხადებულან ამ დღესასწაულზე და არც ფიცი მიუღიათ რუსეთის ერთგულებაზე.

გიორგი XII-ის მეფობის დროს სრული განხეთქილება მოხდა სამეფო სახლში. მისი ძმები—ბატონიშვილნი აქეთ-იქით გაიფანტნენ და უარს ამბობდნენ მეფის მორჩილებაზე. დარია დედოფალმაც თელავი მიატოვა და ტფილისში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც შვილების—ბატონიშვილ იულონის, ვახტანგის, ალექსანდრეს და თავის მოტრფიალე ყორღანოვის შემწეობით თავისი მიზნები და განზრახვები სისრულეში უნდა მოეყვანა. გიორგი მე-XII-ს ავადმყოფობა ხელს უშლიდა და ნებას არ აძლევდა სამეფო გაჭირვებისაგან დაეხსნა. მისი უძლურობით სარგებლობდნენ ორთავე დედოფლები ქვრივი დარია და გიორგის მეუღლე მარიამი. პირველმა მოახერხა და ხელთ იგდო უკანასკნელის ზოგიერთი მამულები.

არეულ-დარეულობას ისიც დაემატა, რომ ტფილისში ერთბაშად ხმა გავრცელდა, ერევნისაკენ სპარსეთის ჯარი მოდის სპარსეთის ტახტის მემკვიდრის აბბას-მირზას წინამძღვრობითაო. ამ ამბავმა ძალიან გაახარა მეფის მოწინააღმდეგენი. გიორგის შეეშინდა აბბას-მირზა ტფილისში არ შემოჭრილიყო, ამისათვის ტფილისის დაცვა მინისტრ კოვალენსკის მიანდო.

ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ გაამაგრებდა ტფილის ბ. კოვალენსკი, რომელსაც კანცელარიაში ჯდომის მეტი თავის დღეში არა გაუკეთებია-რა და სამხედრო საქმეების არა გაეგებოდა-რა. კოვალენსკიმ ქალაქიდან 4,000 კაცი გამოიყვანა და ტფილისს გარშემო თხრილის თხრა იწყო. ამით უნდოდა მას სპარსელებისაგან ქალაქის დაცვა. აბბას-მირზა ტფილისისაკენ არ წამოსულა, მხოლოდ კაცი გამოუგზავნა გიორგი XII, რომელსაც სთხოვდა ისევ შაჰის ქვეშევრდომობა მიეღო და მძევლად უფროსი შვილი გაეგზავნა. რა პასუხი შეუთვალა გიორგიმ აბბას-მირზას, არ ვიცი. მხოლოდ სწორედ ამ დროს ტფილისს მოადგნენ ბატონიშვილნი ფარნაოზი, ვახტანგი და იულონი 3,000 კაცით, თითქოს იმ მიზნით, რომ თავიანთი დედა დედოფალი დარია დაეცვათ, თუ ვინიცობაა, სპარსლები ტფილისში შემოვიდოდნენ, მაგრამ ნამდვილად კი განზრახვა ჰქონდათ, რომ დედოფალი როგორმე თან წაეყვანათ, რომელსაც გენერალი ლაზრევი ტფილისიდან არ უშვებდა. ცოტა ხნის შემდეგ ბატონიშვილნი აქეთ-იქით სოფლებში წავიდნენ, ტფილისშიაც ამბავი მოვიდა, რომ აბბას-მირზამ მდინარე არაქსისაკენ დაიხიაო.

სწორედ ამ დროს ეკუთვნის ალექსანდრე ბატონიშვილის გაქცევა სპარსეთში. ალექსანდრემ სპარსეთის მთავრობას შეაფარა თავი და მათი შემწეობით უნდოდა თავისი უფლებების აღდგენა. სპარსეთის მთავრობამ ალექსანდრე დიდის პატივით მიიღო, შაჰმა უბოძა მას „ფირმანი“ რომლითაც მას აღუთქვა უფლების დაცვა. ბაბა-ხანმა გეგმაც კი შეადგინა, რომლის თანახმად ომარ-ხანი ავარიისა ლეკებით კახეთს უნდა დასცემოდა, იმერლები და ახალციხის ფაშა ქართლს, ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელსაც ხანობა ებოძა, სპარსელებით ქართლის სამხრეთ საზღვრებს—ბოლოს ყველა ამათ თავი უნდა მოეყარათ ტფილისში. ეს გეგმა არ იქმნა განხორციელებული, მისთვის რომ მარტო ომარ-ხანი მოადგა ქართლის საზღვრებს, რომელთანაც ბატონიშვილი ალექსანდრეც იყო.

გენერალმა ლაზრევმა, გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე გაემგზავრა ომარ-ხანის წინააღმდეგ, თან ჰყავდა ორი ბათალიონი ქვეითა ჯარისა, 60 ყაზახი და ოთხი ზარბაზანი. ლაზრევს თან წაჰყვნენ ბატონიშვილი ივანე და ბაგრატი თავისი ჯარით რიცხვით 13,000 კაცამდე.

27 ნოემბერს მოხდა ცნობილი ბრძოლა მდ. იორის ნაპირზე *). 22,000 კაციდან ომარ-ხანმა და ალექსანდრემ 4,000 კაცი დასტოვეს ბრძოლის ველზე, რის შემდეგ უკან დაიხიეს შუშისაკენ. ამ ბრწყინვალე გამარჯვებით გენერალმა ლაზარევმა ფრთები შეაკვეცა დანარჩენ ბატონიშვილების და დარია დედოფლის განზრახვებს. ბატონიშვილებს იულონს, ვახტანგს, ფარნაოზს და მირიანს საკუთარი გეგმა ჰქონდათ შედგენილი. მათ უნდოდათ რუსის ჯარის განდევნა ტფილისიდან და მათთვის გზის დაკეტვა, რომ ქართლიდან ერთი კაციც ვერ გასულიყო ვერსად; ამისათვის მათ უნდათ გაძლიერებული ჯარებით დაეჭირათ ქსნისა და არაგვის ხეობა. ეს განზრახვა ბატონიშვილებმა სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგანაც მათ ხელი შეუშალა ომარ-ხანისა და ალექსანდრეს დამარცხებამ.

რუსის მთავრობისათვის ბატონიშვილებში ყველაზე უფრო საშიში იყო ალექსანდრე, რომელსაც დღე და ღამ არ ეძინა და ყოველ წუთს უქადდა ქართლს სპარსელების ჯარით შემოსევას. „თუ გსურთ ჩვენი ძმის ალექსანდრეს დაბრუნება, სწერდა ბატონიშვილი ვახტანგი გენერალ კნორინგს, გარწმუნებთ, რომ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შეგვრჩება უფლება, რომელიც დაგვიტოვა ნეტარ ხსენებულმა ჩვენმა მშობელმა, რათა ჩვენ ვიმეფოთ რიგ-რიგათ ძმებმა და შვილებმა და თუ ეს ასე არ მოხდა რაც ღმერთმა ნუ ქნას, მაშინ სხვებიც იძულებულნი გახდებიან გადაიხვეწონ სამშობლოდან“.

გიორგი მე-XII-ე გარდაიცვალა 1800 წ. 28 დეკემბერს, დილის 11 საათზე. მისი სიკვდილის შემდეგ,

---

*) ამის წერის დროს ვსარგებლობდი შემდეგი ისტორიული წყაროებით: „Романовскій, Исторія Грузіи, журналы Русская старина, Историческій вѣстникъ. და მომეტებულად კი გენერალ პოტტოს თხზულებებით.

[1] ირაკლი მეორე გარდაიცვალა 82 წლისა.

[2] მეფე ირაკლიმ 1750 წ. შეირთო მესამე ცოლად დარია, სამეგრელოს მთავრის გიორგის ასული.

*) ბრძოლის წინა ღამით ბატ. ბაგრატი თავისი ჯარით უკან დაბრუნდა, დარჩა მარტო ივანე 3,000 კაცით.

სალგაზე მინდვრის თაგვის წინააღმდეგ, რომელიც მრავლად მოედო საგარეჯოს რაიონს.

◆ ტიუბინგენიდან პეტერბურგის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ, რომ ისტორიის წინა დროის ცნობილი მკვლევარი **პროფესორი შმიდტი** აურჩევიათ ხელმძღვანელად იმ ექსპედიციისა, რომელიც აპრილის დასაწყისში შავი ზღვის პირასა და კავკასიაში გამოკვლევას მოახდენს ადგილობრივ გამოქვაბულებში, რათა იქ ნაპოვნი ნაშთებით შეისწავლონ ადამიანი ყინულის ხანისა.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის** უფროსის წინაშე შუამდგომლობა აღძრა მუხრანის (დუშეთის მაზრა) საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილების უფროსმა, რათა ნება დართოს, გააუქმოს ამ განყოფილებაში საღამოს მუშაობა, რადგანაც ამას საჭიროება არ მოითხოვსო.

◆ **ქალაქის ღარიბთა სახლის გამგე კომისიის** წევრებად გუბერნატორმა, ქალაქის საბჭოს არჩევის თანახმად, შემდეგი პირნი დაამტკიცა: ე. გ. ჯანაგოვი, კ. ა. გონიევი, გ. ნ. კეილი, მ. ვ. ლუნკევიჩი, ი. ი. მინკევიჩი, ნ. ი. ოსტროგორსკი და კ. ს. სარქისოვი.

◆ საგანგებო ხელოვნებათა წამქეზებელ საზოგადოებას ტფილისში აქვს **მხატვრობა-მოქანდაკეობის სკოლა**, რომელსაც ქალაქი ყოველწლიურად 2,000 მ. აძლევდა. ქალაქის საბჭომ ამას წინად დაადგინა, წელს სკოლას მხოლოდ 1,000 მან. მისცეს. ამის გამო საზოგადოების გამგეობამ გუბერნატორთან იჩივლა, ქალაქის საბჭოს კანონით ნება არა ჰქონდა სკოლის შემწეობის შემცირებისა, რადგანაც სკოლა მთავრობის უწყების ხელშიაო (სამხატვრო აკადემიისა).

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი **„ჯეჯილი“**, (მეორე ნომერი) შემდეგის შინაარსით: სურათი. პასუხი ბედისა, ლექსი შიო მღვიმელისა. ცხენის ერთგულება-მხიარული თუთიყუში. პატარა მონადირენი, იაკ. გელაშვილისა. გმირი დერციკი, ზღაპარი (დასასრული) ალ. ნათაძისა. მოკლოდი, (თარგმანი) კუდრაჭასი. კრა-გიული, (ქვის საუკუნის პატარა ქალი) ფრანგულიდან, ეკ. მესხისა. წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, სამათემატიკო გამოცანა, ჩქარა გამოსათქმელი და სხვა. გიორგი წერეთლის ხსოვნას, გ. ქუჩიშვილისა. ჯამი აივსო! ეკატ. გაბაშვილისა. მუსიკალური დასაკრავები საქართველოში, გ. ლეონიძისა. დაღუპული მეზღვაური, დასასრული, ცქვიტისა. წერილების და ფოსტის გაგზავნ-გამოგზავნის ისტორია ბერლინისა. თარგ. ალ. ფაღავასი. ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი).

◆ ამას წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა, რათა საერობო თანხიდან გაიცეს 10,000 მან. საბაღოსნო სასწავლებლისთვის მტკვრის პირას (მუშტაიდთან) წყლის მანქანის დასადგმელად. საზოგადოების საბჭომ დაადგინა, არ მოუცადოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას და მანქანის დადგმას ახლავე შეუდგეს. თუ შუამდგომლობა არ იქნება დაკმაყოფილებული, მაშინ საჭირო ხარჯს თვით საზოგადოება იკისრებს.

◆ **ჩქარის სამკურნალო დახმარების** სადგურს ლ. ა. მანთაშევმა 5,000 მან. შესწირა.

◆ გუშინ, 5 თებერვალს, წმ. მარინეს ეკლესიის წინამძღვრად ნამყოფისა და საზოგადო მოღვაწის **მღვდლის ზაქარია გულისაშვილის** გარდაცვალების ორმოცის დღის თავზე წმ. მარინეს ეკლესიაში არქიმანდრიტმა პიროსმა გადაიხადა წირვა და პანაშვიდი. გალობდა გ. ხუციშვილის ხორო.

◆ **ქალაქის მდივნის არჩევა** დაინიშნა 10 მარტისათვის.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **საგანგებო ხელოვნებათა წამქეზებელი საზოგადოების** საბჭო გუბერნატორს შეეკითხა, რა მდგომარეობაშია მათი შუამდგომლობა, სენატორ ვატაცის საშუალებით აღძრული, სამადლო სახლის გადატანის შესახებ მიხეილის ქუჩიდან ქალაქის რომელსამე განაპირა ადგილას. საზოგადოება თხოულობს, რომ სამადლო სახლი, რომელიც მიხეილის ქუჩაზეა, გადატანილ იქმნას ნავთლუღში, სადაც ქალაქმა უფასოდ უნდა დაუთმოს საქალაქო მიწა. სამადლო სახლის შენობის აგებას საზოგადოება კისრულობს, მიხეილის ქუჩაზე მდებარე სახლი კი საზოგადოებას უნდა დარჩეს. აქ განზრახვა აქვს, მოაწყოს საგანგებო დარბაზი სურათებისათვის, სამხატვრო მუზეუმი და დარბაზი გამოფენებისათვის.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობის კრება 4 მარტს მოხდა. გამგეობამ მუხლ-მუხლად განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების 1914 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 45,968 მან. 20 კაპ. შემოსავლის უმთავრესი წყაროებია: საწევრო ფული 1,200 მან., სეირნობა—1,000 მან., შემოსავალი განყოფილებათაგან—1,200 მ., ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან—6,300 მან., ფულის სარგებელი—4,574 მან. 74 კაპ., წიგნის მაღაზიიდან—5,000 მან., წიგნების გამოცემისაგან, 9,000 მან, სასტიპენდიო შემოსავალი (ზუბალაშვილისაგან)—5,066 მან. 70 კაპ. და სხვა. შემოსავალი გამგეობამ ამგვარად გაანაწილა საზოგადოების სექციათა შორის: საადმინისტრაციო სექციის განკარგულებაში გადასდო 25,995 მან. 46 კაპ. და დაავალა სექციას, ამ თანხიდან ჯამაგირები მოუმატოს საზოგადოების კანცელარიისა და წიგნის მაღაზიის მოსამსახურეებს, სასკოლო სექციას მიეცა—11,490 მან., ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობ სექციას—2,832 მან. 74 კაპ., საგამომცემლოს—3,350 მან. და სამუზეუმო სექციას—2,300 მან.

საზოგადოების სხვა და სხვა თანხის რაოდენობა 1914 წ. იანვრისთვის ნავარაუდევი იყო 82,849 მან. 19 კაპ., 1914 წლის განმავლობაში ამ თანხიდან 4,574 მან. 74 კაპ. უნდა დაიხარჯოს. ამ თანხათა რაოდენობა 1914 წლის 1 იანვრისათვის ნავარაუდევია 117,504 მან. 74 კაპ.

* * *

1

აცივდა ნაცრის ფრად, ნაცრის ფრად აცივდა;
უხუცეს ჭანდრის ხეს ფოთლები დასცვივდა;
ხავერდის მწვანე ყდა გადასძვრა ტყის კარავს,—
აწ თოვლი შებუმბლავს, აწ თოვლი დაფარავს.
და მთვარეც ისეა მკრთალი, მილეული,
ვით ქალი... (როგორ ვსთქვა?) ვით ქალი სნეული.

2

აცივდა ჩემს სულშიც, ჩემს სულშიც აცივდა;
ცრემლები დამემტვრა და მინად დამცვივდა.
ჩემს ლექსებს მხიარულს, ჩემს ნაფიქრ და ნაგრძნობს
აწ სევდა დაფურცლავს, აწ სევდა დააჭკნობს.
და სატრფოც ისე მყავს მკრთალი, მილეული,
ვით მთვარე.. (როგორ ვსთქვა?) ვით მთვარე სნეული.

ი. გრიშაშვილი.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრებები ამჟამად კვირაში ორჯერ ინიშნება. კრება დანიშნულია დღეისთვისაც. განსახილველ საქმეთა სიაში შეტანილია 31 საკითხი, მათ შორის: 1) გამგეობის მოხსენება ლომბარდისათვის დროებით შენობის დაქირავების საჭიროების შესახებ, 2) გამგეობის მოხსენება 300,000 მ. სესხის აღების შესახებ ლომბარდის საწარმოო თანხის გასაძლიერებლად, 3) არჩევნები ქალაქის საბჭოს სატრამვაიო, სასკოლო, სატყეო-საბაღოსნო და ღამის თავშესაფართა გამო კომისიების თავჯდომარეებისა და სხვა.

სასწავლებლებში

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების სკოლების** მასწავლებლებმა, თანახმად საზოგადოების გამგეობის მოთხოვნისა, გამგეობას წარმოუდგინეს ამ სკოლების სანიმუშო პროგრამები. გამგეობამ დაავალა სასკოლო სექციას, პროგრამა გადაათვალიეროს, საჭირო ცვლილებანი შეიტანოს და ისე წარმოუდგინოს გამგეობას.

დღიური

სოფლის მამასახლისები.

მასწავლებელი, მღვდელი და მამასახლისი—ეს სოფლის სამი ბურჯია, ურომლისოდ მას განძრევა არ შეუძლია; სოფლის ყოველივე საქმე ამ სამ კაცზეა დამოკიდებული, შეუძლიანთ სოფელი დააქციონ, შეუძლიანთ ხელი შეუწყონ მის კეთილდღეობას. შორიდან რომ ვუცქერით, არაფრად გვეჩვენება მღვდელი, მასწავლებელი და მამასახლისი, მაგრამ თვითონ სოფელში ესენი დიდი კაცები არიან, მათი სიტყვა ძლიერია, მათი ყურადღება დაუფასებელი და ხელის გამოწოდება—ამშვენებელი. სოფლის მკვიდრთა დიდი უმრავლესობისათვის მთელი ქვეყნის საქმე ამ სამი ბურჯის მეოხებით წყდება და თუ თვითონ სოფლის პირდაპირს გაჭირვებას და დალხინებას მივიღებთ მხედველობაში, ეს ოცნება და ზღაპარი კი არ იქნება, არამედ სრული სინამდვილე. სოფელი ფეხს ვერ გადადგამს, რომ მამასახლისს, მღვდელს და მასწავლებელს არ შეეხოს, მათი რჩევა და საქმე არ დასჭირდეს.

სოფლის სამი ბურჯის ვინაობა ფრიად საინტერესოა. სოფლის ჭირვარამის შესახებ ლაპარაკის დროს მათ პიროვნებას მხარს ვერ ავუქცევთ. დღევანდელ წერილში მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ჩვენებურ მამასახლისებზე. საუბედუროდ ჩვენი სოფლის მამასახლისის შესახებ კარგის თქმა რისიმე ყოვლად შეუძლებელია. ჩვენებურს მამასახლისს რომ ახსენებთ, უთუოდ წარმოგიდგებათ თვალწინ მატყუარა, მექრთამე, გაიძვერა, მძარცველ-მყვლეფელი, დაუნდობელი, შეუბრალებელი, უსამართლო ადამიანი. შემთხვევით რომ აიღოთ სხვა და სხვა მიმართულების გაზეთების რამდენიმე ნომერი, ერთსა და იმავე წაიკითხავთ სოფლებიდან მოწერილს ამბებში: მამასახლისმა აგვაწიოკა, მამასახლისმა გაგვატყავა, მამასახლისმა დაგვღუპაო.

აი რას ვკითხულობთ „ხმა კახეთისა“-ში: „ვაი იმათი ინდოურების და ქათმების ბრალი, ვისი ოჯახიდან სალდათობას (ჯარში გაყვანას) გადარჩება ვინმე. იმას ხომ აჯერებენ, რაც ჩუმად გამოართვეს, ახლა მეორედ დასასეტყვად უნდა წავიდნენ (მამასახლისები და მათი ხელ-ქვეითი მოხელენი) და ვისაც პირველი ან მეორე შეღავათი აქვს, ეუბნებიან: თუ ცოტა რამ ხელის ქუჭყი იქნება, ჩვენ გადაგარჩენთო. უცოდინარი გლეხებიც ენდობიან და ქრთამს აძლევენ. ასეა ყოველ საქმეში. მინამ არაფერს გააკეთებენ, სანამ ყელს არ ჩაისველებენ ან ხელს არ მოითბობენ. თვითონ ხომ არა რას აკეთებენ და არა. მაგრამ სხვებსაც ხელს უშლიან, წინ ეღობებიან ყოველგვარს კულტურულ მუშაობას, ცერის თვალით უცქერიან სოფლის სკოლას, სამკითხველოს და წარმოდგენას და ათასნაირის დაბრკოლებით ხელ-ფეხს უბორკავენ ხალხის გულ-შემატკივრებს.

„სახალხო გაზეთს“ სწერენ ერთი დიდი სოფლიდან: დადგა თუ არა შემოდგომა, ჩვენმა მამასახლისმა შეაბმევინა სამი ურემი, მოჰყვა სოფლის თავიდან და სოფლის ბოლომდის, ვისაც კი მოეპოვებოდა ზაფხულის ნამრომ-ნაოფლარი, ადგილობრივ ჩარჩების საბედნიეროდ, სულ შუა ბაზარზე მოაგროვა. დაუსია ადგილობრივი ჩარჩ-ბაცაცები ნარბევს და ჩალის ფასად, თითქმის მუქთად ჩაუგდო ჩარჩებს ხელში. ეს იყო სახელმწიფო ფულის მოგროვება!.. იყო ასეთი შემთხვევა, რომ თუ ვინიცობაა დარბეულ ავეჯში-რამე მოეწონებოდა მამასახლისს და პატრონი ფულს მოუტანდა დასახსნელად აღარ აძლევდა, დაიკარგაო და „დაკარგული“ კი დღესაც მამასახლისის სახლში არის! იყო შემთხვევა, რომ თავზე ხელაღებული მოხელე ერთხელ უკვე დარბეულ და გაცარიელებულ ოჯახში მეორედ შევარდა და რომ ვერა ნახა რა გამოსატანი, ლანძღვითა და გინებით მელოგინე ქალი ტახტიდან გადმოაგდო და მისი ფარდაგი, ნაალი, საბან-ბალიში ურემზე დაუდო.

ამ გვარსავე ამბავს აუწყებენ სულ სხვა კუთხიდან გაზეთს „აზრს“: ბოქაულმა სოფლები დაათვალიერა და ყველგან გლეხები საჩივრებით შევიდნენ—მამასახლისები ქრთამებით ვერ გავაძღეთ, სული ამოგვხადეს, მეტი აღარ შეგვიძლიათ. ბოქაული გაუჯავრდა მამასახლისებს, გადაყენებას და პასუხისგებაში მიცემას დაემუქრა. გასჭრა თუ არა ბოქაულის მუქარამ, ამის შესახებ გაზეთის კორესპონდენტი არაფერს ამბობს, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ასეთი კერძო შემთხვევა დიდს ნაყოფს ვერ მოიტანს..

ზემო მოყვანილი სამი სხვა და სხვა მაგალითი, ვფიქრობ, საკმარისია, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა უსამართლობას და შევიწროებას განიცდის ჩვენი სოფელი მამასახლისებისაგან. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი გაზეთში არ იბეჭდება და ვინ იცის, კიდევ რამდენი გამოუქვეყნებელი და გაუმჟღავნებელი სიბოროტეა დაფარული სოფლის ცხოვრებაში. მამასახლისი დღეს უდიდესი უბედურებაა სოფლისთვის. იგი არა თუ არ ზრუნავს სოფლისთვის და ხელს არ უწყობს მის კეთილ ცხოვრებას, თავის მოღვაწეობით პირდაპირ მავნებელია და გამანადგურებელი სოფლისათვის. და უბედურების თავიდან მოსაშორებლად გლეხები ბოქაულსა და მაზრის უფროსთან და გუბერნატორთან კი არ უნდა გარბოდნენ, არამედ თვითონ საკუთარის ძალღონით და საშუალებით უნდა მოუარონ საქმეს. არც ბოქაული, არც სხვა დიდი მოხელე არ ჩაიხედავს მათ გულში და არ დაედება ძალმაოდ მათ ჭირს.

ასეა თუ ისე, მამასახლისი თვითონ სოფლელების არჩეულია. მაშასადამე სოფელმა თავიდანვე უნდა იფიქროს, თუ ვის ანდობს თავის საქმეებს გაძღოლას და მართვა-გამგეობას. დღეს უმეტეს შემთხვევაში მამასახლისად იმას კი არ ირჩევენ, ვინც სინდისიერი, შეგნებული და საქმის გამკეთებელი ადამიანია; არამედ მამასახლისად ის გადის, ვინც არჩევნების დროს მომხრეებს ქრთამით მოიპოვებს. ეს მოსყიდულები გამოდიან ყრილობაზე წინ და ხმა მაღლა ყვირიან; ეს და ეს კაცი გვინდა მამასახლისადო, სხვებიც დაუდევრობითა და წინდაუხედველობით არ ეწინააღმდეგებიან მათ და მამასახლისობა რჩება ყოვლად უვარგისს და საზარალო კაცს. გლეხები რომ ასე გულგრილად და შეუგნებლად არ ეკიდებოდნენ მამასახლისის არჩევას, მათ შეეძლოთ, წინასწარ მოესაზრებიათ ყველაფერი, დაკვირვებით გამოეძებნათ სამამასახლისო კანდიდატი და სოფლის საქმეები ჩაებარებიათ ადამიანისთვის, რომელიც სამართლიანად და გულმტკივნეულად მოეპყრობოდა ყოველს მათ მოთხოვნილებას. გლეხებს შეუძლიათ, ჯამაგირიც დაუნიშნონ მომზადებულსა და სინიდისიერს მამასახლისს, რადგან ეს უფრო ხელსაყრელია მათთვის, ვიდრე განუსაზღვრელ ქრთამების მიცემა და ათასნაირი შევიწროებას და უსამართლობის ატანა.

ჩემის აზრით დიდად საჭიროა ამ მხრივ აგიტაციის გაწევა და მუშაობა გლეხებს შორის. საჭიროა, რომ გლეხები მეტის შეგნებით მოეკიდონ სოფლის საზოგადო საქმებს და კერძოდ სოფლის მართვა-გამგეობის საქმეს.

სიტყვა.

სრულიად საქართველოს სასცენო მოღვაწეთა კრება

ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ უკვე ითავა ამ კრების მოწვევა. საგანგებო კომისიაც აირჩიეს. საჭიროა მხოლოდ წინდაწინ იმის გამორკვევა, თუ რა საგანს უნდა მიაქციოს მომავალმა კრებამ უმთავრესი ყურადღება, საჭიროა ქართული თეატრის მნიშვნელობისა და მდგომარეობის გათვალისწინება.

ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულია. ჩვენი ხალხი, დემოკრატია, უმთავრესად გაზეთებითა და თეატრით იკვებება. ჩვენ არ გვაქვს სერიოზულად შემუშავებული ხალხური მწერლობა, ადვილ-გასაგები ენით დაწერილი წიგნები, ხალხისათვის ხელმისაწვდომი. ამავე დროს ხალხში სულიერი წყურვილი გაღვიძებულია. რითი, რა გზით უნდა მოიკლას მან ეს წყურვილი? საკვირველიც არ არის, რომ იგი ეტანება ჟურნალ-გაზეთებს, სადაც უმთავრესი ადგილი დღიურ ჭირ-ვარამს აქვს დათმობილი, ეტანება თეატრს, სადაც ცოცხალ ადამიანს, ცოცხალი ენით მოლაპარაკე და ცხადად მომქმედ მსახიობს ჰხედავს.

მაგრამ მხოლოდ ჟურნალ-გაზეთები ვერ დააკმაყოფილებს მკითხველს.

ჩვენი თეატრი, ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი, ჩვენ ცხოვრებას დიდად ჩამორჩენილი ვერ აკმაყოფილებს მაყურებელ-მსმენელს თავის შინაარსით და იზიდავს მხოლოდ თავისი შინაგანი ვითარებით და არა თანამედროვე დემოკრატიული მიმართულებით. არ არის ჯერ-ჯერობით შექმნილი ჩვენში ახალი დროის შესაფერი დემოკრატიული სულით ცხოველმყოფელი პიესები და მსმენელ-მაყურებელი უფრო თავს იქცევს ჩვენ თეატრში, ვიდრე ცხოვრებისათვის გამოსადეგ, მტკიცე ცოდნას იძენს.

ჩვენ გამოვიარეთ ახალი ხანა, გამოვცადეთ ახალი სულიერი მისწრაფება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ შევქმენით მისი შესაფერი ახალი მწერლობა. დამარცხებამ ფრთა შეუკვეცა ახალ თავისუფალ მისწრაფებას. თავისუფლების მწყურვალე ადამიანს არ ჰქონდა იმდენად ღრმა და მტკიცე რწმენა, რომ დამარცხების დროს სულით არ დაცემულიყო, შემოქმედების ცხოველ-მყოფელი ძალა ახალი დროის შესაფერ მწერლობის შექმნაში გამოეჩინა და მით ახალი, უფრო ღრმა-აზრიანი თავისუფალი მისწრაფებისათვის ნიადაგი მოემზადებინა.

დღეს ჩვენ არა გვაქვს ჩვენი ახალი მწერლობა და იძულებულნი ვართ სხვისას მივმართოთ. კაცობრიობის ძვირფას სალაროში ჩვენთვის საჭირო ღრმა-აზრიანი ნაწარმოები საკმაოდ მოიძებნება. მხოლოდ მას მიგნება, ამორჩევა და გადმოქართულება სჭირია. რაც ჩვენ გამოვიარეთ, კაცობრიობის მოწინავე ნაწილმა კარგა ხანია გამოიარა. მან მიაღწია ისეთ წყობილებას, ისეთ შეგნებას, რომელიც დღეს ჩვენთვის სანატრელია. ეჭვს გარეშეა, რომ კაცობრიობის მოწინავე ნაწილს დიადი სამსახური გაუწია ახალ წყობილებისა და შეგნების შექმნაში მათმა თეატრმა და მწერლობამ. იქ უნდა ვეძიოთ ის, რაც ჩვენ გვაკლია.

როცა არა გვაქვს ჩვენს ენაზე დაწერილი, ჩვენი მწერლის მიერ შექმნილი ღრმა-აზრიანი წიგნი, მახლობელს და შორეულს უნდა გამოვართვათ. როცა არა გვყავს საკუთარი მასწავლებელი—უცხოეთიდან უნდა დავიბაროთ. არ უნდა შეუშინდეთ იმას, რომ უცხო ხილი ჩვენ არ შეგვერგება. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ის მცირე ახალი განძიც, რომელიც ჩვენ ახალ ცხოვრებასა და მწერლობაში მოიპოვება—უცხოეთის მოწინავე აზრის კეთილი გავლენითაა შექმნილი. თუ ჩვენში რაიმე სულიერი ძალაა—უცხოეთის მოწინავე აზრი მას მხოლოდ გამოაღვიძებს და ჩვენებურად განავითარებს, ადგილობრივ, ჩვენ საკუთარ შემოქმედებას გამოიწვევს. სხვისი თაოსნობა, ღრმა, თავისებურ აზროვნებაში გამოცხადებული, ჩვენ საკუთარ, თავისებურ ღრმა აზროვნებას გამოაღვიძებს.

მთელ კაცობრიობის აზროვნების ასპარეზზე გამოცხადებული სულიერი ძალა—მზისა დარია; იგი მთელ ქვეყანას შემოივლის, ყველას ერთნაირად ათბობს და დაჰნათის და ადგილობრივ ბუნებრივ, თავისებურ ძალითა გაფურჩქვნა ხელს უწყობს. როგორც ვერ უარვყოფთ მზეს იმი-

---

მის შვილს დავითსა და ძმას გიორგისას იულონს მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ ტახტის გულისთვის. ქართლ-კახეთის საქმეებს კი ფაქტიურად რუსების გენერლები განაგებდნენ.

1801 წლის 20 იანვარს, იმპერატორმა პავლემ რესკრიპტი უბოძა გენერალ კნორინგს, რომელშიაც იმპერატორი სწერდა, რომ სურვილი მაქვს ვინახულო ქართველი წარჩინებულნი და ბატონიშვილნი, რათა მთელი ქვეყანა დარწმუნდეს მასში, რომ საქართველოს რუსეთთან შემოერთების მსურველნი ყველანი არიან და არა ერთი და ორი პირიო. ამის გამო გენერალმა კნორინგმა პეტერბურგს გაგზავნა გიორგი მე-XII შვილები: გიორგი, იოანე, ბაგრატი და მიხეილი. უკანასკნელს, როგორც მცირე წლოვანს, თან წაყვა პაპა, სიმამრი გიორგი XII-ისა თავ. ციციშვილი. ბატონიშვილ ალექსანდრეს შესახებ იმპერატორი პავლე სწერდა კნორინგს: თუ ალექსანდრე ბოდიშსა და სინანულს აღიარებს, ყველაფერი ეპატიებაო. ალექსანდრე ამას სრულიად არ ფიქრობდა.

პავლეს სიკვდილის შემდეგ, ალექსანდრე I-მა საქართველოს საქმეების მოსაწესრიგებლად თავ. პ. დ. ციციშვილი დანიშნა, რომელიც ტფილისს ეწვია 1 თებერვალს 1803 წელს. ალექსანდრეს ფიქრით საქართველოს დამშვიდება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა იქ სამეფო სახლის ერთი წევრიც აღარ დარჩებოდა; ამისათვის საჭირო იყო ყველა მათი რუსეთში გადასახლება. თავ. ციციშვილმა ტფილისში მოსვლისათანავე ამ აზრის განხორციელებას მიჰყო ხელი, მაგრამ მას ყველა ბატონიშვილები არ დახვედრია. ბატონიშვილი ალექსანდრე, მეხუთე შვილი მეფე ირაკლისა, სპარსეთს წავიდა 1800 წ. და იქ სამუდამოდ დამკვიდრდა. მისი ძმები იულონი, ფარნაოზი 1801 წ., გენერალ კნორინგის ჩამოსვლის დროს, იმერეთს გაიქცნენ და იქიდგან ცდილობდნენ თავიანთი მომხრეების გაძლიერებას, და სოლომონ II-ის შემწეობით ქართლ-კახეთის ტახტის დაბრუნებას. ბატონიშვილი თეიმურაზიც 1803 წ. დასაწყისს სპარსეთში გაიქცა. ბატონიშვილების დავითისა, ვახტანგისა, ბაგრატისა და ირაკლის მეუღლის ქვრივ დედოფალ დარიას რუსეთში გაგზავნა თავ. ციციშვილს არ გასჭირვებია, მხოლოდ მარიამ დედოფლის გაგზავნამ კი იმსხვერპლა გენერალი ლაზარევი.

სამშობლოდან გარდახვეწილი ბატონიშვილნი მოსვენებას არ აძლევდნენ თავ. ციციშვილს: თვითეული მათგანი დაუძინებელი მტერი შეიქმნა რუსის მხედრობისა და ყველამ ერთად მიზნად დაისახა საქართველოდან მათი გაძევება. თავ. ციციშვილს ყველაზე უფრო ალექსანდრე ბატონიშვილისა ეშინოდა და მეტ ყურადღებას მას აქცევდა[1]. ციციშვილმა ყოველივე ღონისძიება მიიღო, რომ ალექსანდრე სპარსელებით ქართლში არ შემოსულიყო და რუსის მხედრობას არ დასცემოდა. ალექსანდრეს მართლაც, რომ არ ეძინა; ის ყოველ წუთში მზად იყო ქართლში შემოსასვლელად, მხოლოდ უფრო შერჩეულ დროს უცდიდა. საუკეთესო შემთხვევა პირველად მაშინ მიეცა მას, როდესაც თავ. ციციშვილმა 1804 წ. ერევნის სახანოს დაპყრობა და დამორჩილება მოინდომა. სპარსელების ჯარმა თავი მოიყარა ადერბეიჯანში და მზად იყო ერევნის ხანის საშველად. ალექსანდრე წერილებს-წერილებზე უგზავნიდა ქართლ-კახეთის თავადებს, ურჩევდა ამხედრებულიყვნენ თავიანთი უფლების დასაცველად და მემკვიდრე ბატონიშვილების უფლებების აღსადგენად; ურჩევდა აგრეთვე დასახმარებლად ძლევა მოსილ ირანის ბრძანებლისათვის მიემართათ. ალექსანდრეს პროკლამაციებს, შაჰის ფირმანებიც თან მისდევდა. ერთ ფირმანში, რომელიც მიმართული იყო კახეთის მამასახლისებისა და ყველა მცხოვრებისადმი, ასე იყო ნათქვამი: „ცნობილია, რომ საქართველო შეადგენს ირანის სამფლობელოს ნაწილს. ქართველი მეფეების უთაურობით, გზა დაკარგულმა რუსებმა უკვე იწყეს ფიქრი ამ მხარეში დამკვიდრებისა. ალექსანდრე მირზა და თეიმურაზ მირზა მოვიდნენ ჩვენს კარზე[2] ჩვენი უდიდებულესი ნებაა შემწეობა აღმოუჩინოთ ბატონიშვილებს და დავიცვათ საქართველო წყეულ რუსებისაგან[3] და ამისათვის ეხლა ღირს ვყავი რა მათი უმაღლესობანი ჩვენი წყალობით, გავგზავნეთ ჩვენ მისი მემკვიდრე აბბას-მირზასთან, რომელიც მზად არის საქართველოში გასალაშქრებლად 50,000 კაცით. ბატონიშვილნი იქნებიან მასთან და იმსახურებენ მის ლაშქარში. ჩვენ თითონ ჩვენი სატახტო ქალაქიდან მოვიხსნებით და გამოვეშურებით საქართველოსაკენ და იქიდან ყიზლიარს. წყალობითა ღვთისათა, ის მხარეები იქმნებიან განთავისუფლებულნი „გიაურებისაგან“, ძლევა მოსილი მეომრების ხმლები გასწყვეტენ რუსებს და ბატონიშვილნი იქმნებიან დამტკიცებულნი საქართველოში. ამისათვის თქვენ უნდა შეკრიბოთ თქვენი ლაშქრები და იყვეთ მზად, რომ ჩვენი ჯარის მოსვლისათანავე დახმარება გაუწიოთ მათ რუსების გაწყვეტაში.[4] ალექსანდრესთან სპარსეთში რამდენიმე თავადი იყო გადახვეწილი. ესენიც თავის მხრივ ცალკე ცდილობდნენ როგორმე ემოქმედათ თანამემამულეებზე სამღვდელო პირების შემწეობით. ერთი მათგანი, იოსებ ანდრონიკაშვილი 1804 წ. სწერდა ბოდბის მიტროპოლიტს:—„რუსებზე ძლიერ განრისხებულმა შაჰმა დასძრა იმოდენა ჯარი, რომ თან მოაქვთ მთა და ბარი. მათი თვითმპყრობელობა ამბობს რომ სახელოვანი ჩემი ჯარი უნდა ყიზლიარსა და მოზდოკამდის მივიდესო. ამოდენა ჯარი გაგონილი და ნანახი არ არის. ჩემის ფიქრით, ისინი ქართლის მიწას ცხრა ადლის სიმაღლეზე გადააბრუნებენ. თქვენ რუსებისაგან ბევრი წვალება აიტანეთ, ეცადეთ და იშრომეთ, რომ საქართველოს ნაპერწკალი არ გაჰქრეს. თითონ შაჰმა თავის ხელით შემოარტყა ალექსანდრეს ხმალი და უბრძანა მას გაიკეთოს ბეჭედი და საქართველოც მას უწყალობა[5]“.

1804 წ. მაისში ტფილისში მოვიდა სპარსეთის პირველი მინისტრისაგან გამოგზავნილი მოხელე, რომელმაც წერილი გადასცა თავ. ციციშვილს. მინისტრი შაჰის სახელით უთვლიდა ციციშვილს, რომ რუსებს საქართველო მიეტოვებინათ. მართალია, სწერდა ის წერილში, რომ დღემდის ვითმენდით მათ, მაგრამ ეს მხოლოდ მისთვის, რომ ჩვენ მათ უყურებდით, როგორც სავაჭრო მიზნით მოსულთ. ციციშვილმა მოკლედ უპასუხა მინისტრს წერილზე: „რუსები ჩვეული არიან ხიშტებით პასუხის გაცემას.“

ავ. ბენაძე.

(შემდეგი იქნება)

---

[1] რუსულად ასეა მასზე ნათქვამი: „Александръ—этотъ злой геній Грузіи“.

[2] ე. ი. ალექსანდრე და თეიმურაზ-ბატონიშვილები.

[3] პოტტო, ტ. I გვ. 134.

[4] იქვე.

[5] Утвержденіе Русск. влад. на кавказѣ т. I. с. 135.

ტომ, რომ იგი არა ჩვენში, არამედ აღმოსავლეთიდან ამოდის და დასავლეთში ჩადის, ისე ვერ უარვყოფთ კაცობრიობის გენიოსობას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სხვაგან ამოდის, სხვებს გზას უნათებს.

ამ აზრის განსახორციელებლად საჭიროა, რომ მსახიობთა მომავალმა კრებამ უმთავრესი ყურადღება მიაქციოს უცხოეთის მწერლობას. მან უნდა შექმნას განსაკუთრებული კომისია, რომლის დანიშნულება იქნება უცხოეთის მწერლობიდან ჩვენთვის საჭირო მასალის ამოკრეფა და ქართულად თარგმნა; მან უნდა და გაუწიოს ზნეობრივი და მატერიალური დახმარება ამ კომისიას, რადგან ის იქნება წყარო ჩვენი თეატრისათვის საკვების აღმომჩენი, მისი განახლებისათვის ხელის შემწყობი.

ილია ნაკაშიძე.

პატარა ფელეტონი

⁂

მიამბე დედილო, ხელმწიფის შვილი, არწივად რომ იქცა, ვერ დაემალა ჯადოქარს?

ვერა შვილო, ერთხელ, როდესაც არწივად ნაქცევი ხელმწიფის შვილი ამაყად იჯდა ერთ მიუწდომელ კლდის პირას, ჯადოქარი გადაიქცა ლოდად. მიეპარა არწივს, ხელმწიფის შვილს; დაქანდა ზემოდან ელვის სისწრაფით; არწივმა ვერც კი მოასწრო ფრთების გაშლა, ლოდი დაეცა თავში, და გრძნობა დაკარგული ჩავარდა ძირს.

მერე, მერე დედილო? ხმის კანკალით ჰკითხავს შვილი თავის მშობელს, მაშ მოკვდა არწივი, ხელმწიფის შვილი?!

არა, არა ჩემო კარგო! არწივი მხოლოდ ცოტა ხანს ეგდო გრძნობა დაკარგული, ლოდს იგი მხოლოდ დაებორიელებინა. იმან მალე მოიკრიფა ძალ-ღონე, გაშალა თავისი ძლიერი ფრთები, ამაყად მიმოიხედა და მზეს მიაშურა.

ბრაზმორეული ჯადოქარი კი ეგდო მიწაზე და ფიქრობდა თუ როდის მოახელებდა არწივს, რომ გაენადგურებინა იგი.

არწივი, ხელმწიფის შვილი აფრენილიყო ძალიან მაღლა, თითქმის მზეს მიჰკროდა, და იქიდან ამაყად დაჰყურებდა ჯადოქარს.

დაგეძინა შვილო? ჩემო ნუგეშო, შენც ბევრჯელ გიმუხთლებს ჯადოქარი-ცხოვრება, მაგრამ შენ არ შეუშინდები მას!

ჩემო არწივო! შენ მძლავრად გაჰშლი ფრთებს და გასწევ მზისაკენ!!!

ლევანი

იროდიონ ევდოშვილს

(სახალხო გაზეთის დამატებაში მისი სურათის მოთავსების გამო. 2 მარტს).

ძვირფასო ძმაო იროდიონ! ორს მარტს სახალხო გაზეთის დამატებაში ვნახე შენი სურათი ავადმყოფობის შემდეგ. მომაგონდა ის დიდებული დღე, როდესაც შენ სამი-ოთხი წუთით შენდა უნებურად გაჰშორდი ერთ ადგილს.. ჩვენ კი, იქ მყოფთ, რა უბედურობა დაგვატყდა თავზედ, ვინ იცის...

შენ რომ იქ ენახეთ, რა მოხდებოდა ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის.

დაგვიჭირეს ჩვენ მრავალნი. ყველა გაათავისუფლეს ჩემის მეტი, მცემეს უღმერთოთ, პირში რევოლვერი ჩამჩარეს: წითელი „აკალოტკიანი“ ვინ იყო თქვენთანაო...

ჩუმი, იდუმალი ხმა ჩამძახოდა: ჰაა, არ გაგიწყრეს ღმერთი, არ წამოროშო! ასეც მოხდა... მიკრეს თავი ჯანდაბას...

მამაგონდა შენი მაშინდელი მკვირცხლი სახე ჯანღონით სავსე მოძრაობა, შევადარე ეხლანდელ სურათს, და ვნახე რო იმის მესედიც აღარა ხარ... ბევრი ვიტირე, და ვღვარე ცრემლი; მაგრამ ვიმაგრებ გულს იმითი, რომ შენ ღირსეული მამულიშვილი ერმა დაგაფასა, და სულ არ გამოგაცალა ხელიდგან შენი თავი ულმობელმა სენმა.

მადლი იმ პატიოსან ექიმებს, ვინც შენ უსასყიდლოდ გიწამლა, პატივის ცემა და თაყვანი იმ საზოგადოებას, ვინც შენი სიცოცხლისათვის იზრუნა...

რაც მიუძღვენ შენს ჩაგრულ ერს, მანაც არ დაგივიწყა და არც დაგივიწყებს კვლავაც.

იმედია შენს მთლათ განკურნებას ხელს შეუწყებს ჩვენი პატივისცემული საზოგადოება და კვლავ სამშობლო მწუხრზედ აჟღერდება ამდენი ხნის გაჩერებული ჩანგი ჩანგი იროდიონ ევდოშვილისა.

ი. ბ—ლი.

მუშათა ცხოვრება

რუსეთში.

პერმი. ჩუსოვის ქარხანაში ეკონომიურ ნიადაგზე 200 მუშა გაიფიცა.

გაფიცვები. შაპოშნიკოვის თამბაქოს ქარხანაში გაფიცვა 10 დღის შემდეგ დასრულდა. მუშათა მოთხოვნილება, ორი დათხოვნილი ამხანაგის მიღების შესახებ, არ დააკმაყოფილეს. სულ 1500 კაცი იყო გაფიცული.

ამავე დროს დასრულდა გაფიცვა დიუფლონის მექანიკურ ქარხანაშიც, რომლის მუშები იმავე მიზეზების გამო იყვნენ გაფიცულნი, რაც შაპოშნიკოვის ქარხნისა. არც მათი მოთხოვნილებაა დაკმაყოფილებული.

შტეიდინგის საკალბასო ქარხანაში ეკონომიური გაფიცვა გრძელდება. გაფიცვის საბაბი ის იყო, რომ მექარხნემ მუშებს სახელურები არ მისცა, რაც აუცილებლად საჭიროა ლორით სავსე ბოჩკებს გაგორების დროს.

მოწერილი ამბები

სოფ. აწყური (თელავის მაზრა). ამ სოფელში არსებობს წვრილი სესხის ამხანაგობა, სადაც თერთმეტი სოფელი სარგებლობს. თებერვლის ოთხში მოხდა საზოგადო კრება წარსული წლის ანგარიშების განსახილველად. 314 წევრთაგან კრებას დაესწრო 172 კაცი. კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს წვრილი სესხის ინსპექტორი ბ-ნი ვიფორსი.

ბ-ნმა ვიფორსმა დამსწრეთ მოახსენა: „ხუთი წელიწადია თქვენი ამხანაგობა არსებობს და აქამდე დარწმუნდებოდითო, თუ რაოდენ სასარგებლოა ეს საქმე თქვენთვის. დარწმუნდებოდით, რომ ეს საქმე თქვენია, თქვენთვის მოგონილი და პატრონები თქვენა ხართო. სანატრელია გწამდეთ ყველა ეს და ისე უყურებდეთ ამას, როგორც საკუთარს საქმეს. გადავშინჯე თქვენი ამხანაგობის 1913 წლის ანგარიში, გავიცან საქმის მდგომარეობა და უნდა ვსთქვა, რომ, რაც თქვენი ბანკი არსებობს, საქმე ვერა გქონდათ კარგად დაყენებული. შარშანდელი თქვენი თხოვნაც ნდობის მომატებაზე უშედეგოდ დავტოვე ამის გამო. მხოლოდ ეხლა თქვენ გიშოვნიათ ისეთი გამგეობა, რომელსაც საქმე გამოუკეთებია, წესზე დაუყენებია და ჩვენის მხრით მართებულია მადლობა გადაუხადოთ მათ. მხოლოდ ეხლა შემიძლიან შეგპირდეთ, რომ ვიკისრებ შუამდგომლობა გავწიო და ძველი სესხის რაოდენობა ერთი ორად გავადიდო. აი მოუახლოვდით საქმეს, მოისმინეთ ანგარიში, შემოიტანეთ რაც კითხვები გებადებათ, რის გაგება გინდათ სთქვით და თქვენი საქმე უფრო უკეთესად მოიწყეთო. მოვისმინოთ ანგარიში და სხვა საკითხებიო“.

ამის შემდეგ კრებას მოეხსენდა: 1) წლიური ანგარიში 1913 წ., რომელიც დამტკიცებულ იქმნა.

2) წმინდა მოგება ამ 1913 წლის 241 მ. 34 კ. განაწილებული იქმნა ასე: ძირითად თანხას მიემატა 96 მ. 84 კ. სათადარიგო თანხას 50 მ. 22 კ., დანარჩენი 93 მ. 58 კ. გადაიდო საკუთარი შენობის გასაფართოვებლად.

3) კრებას მოეხსენდა, რომ ზოგიერთ ამხანაგებზე სესხი აქამდე გადასახადი დარჩა და როგორ მოექცნენ ამათ. კრების უმრავლესობამ მოითხოვა ჩამოეთვალნათ, თუ ვინ იყვნენ ეს საქმის გამფუჭებელი ამხანაგები. ბანკის გამგემ უსარგებლოდ აღიარა გვარების ჩამოთვლა, ხოლო განმარტა, რომ ესენი არიან ეგრედ წოდებული „კეთილშობილ წოდების“ პირნი და გამგეობა, თუმცა ბევრს ეცადა, მაგრამ ძალა ვერ მიიტანა მათზე, თავის დროზე ვალი გადაეხდევინებინა, რადგან მაზრის მთავრობა არა დაეხმარა ამაში. წვრილი სესხის ინსპექტორმა გამოსთქვა, რომ მას განზრახვა აქვს აუხსნას მახლობელ მთავრობას ამ საქმეში მოვალეობა და თუ ეს ვერ გასჭრის საგუბერნიო მთავრობის განკარგულებას გამოიწვევს. კრებამ კი დაადგინა ეს უპირო ამხანაგები დასაჯოს მით, რომ ექვსი თვით შეუკრან მათ ფულის სესხი ამხანაგობიდან.

4) ვადა გათავებული წევრი გამგეობისა ი. გ. სულხანიშვილი ისევ არჩეულ იქმნა, მის კანდიდატად არჩეულია ზ. გ. მელვინეთხუცესი.

5) სარევიზიო კომისის წევრად ლ. გ. მაყაშვილის ბადლად არჩეულ იქმნა ი. აქ. ანდრონიკაშვილი.

6) 1914 წ. გასავალი ნავარაუდევია ასე: ამხანაგობის საქმის მწარმოებელს 360 მან., მეორე წევრს 180 მან., მოსამსახურე კაცს 50 მან. და საკანცელარიო ხარჯი 150 მ.

7) კრებამ დაავალა გამგეობის არსებული საამხანაგო შენობა გააფართოვოს იმ ფულით, რაც გადადებულია.

8) კრებამ ნება დართო გამგეობას 200 მან. დახარჯოს და შეიძინოს ცეცხლში გამძლე შკაფი და სხვა ავეჯი.

9) კრებამ მიანდო გამგეობას იშუამდგომლოს სახელ. ბანკთან სესხის 2000 მან. გადიდებაზე, შეეკრას და გასცეს ჩეკები მისი სახელითო.

10) კრებამ დაადგინა, რომ სახელ. ბანკის ვალის გასასტუმრებელი უკანასკნელი ვადა იყოს ყოველი წლის 1 თებერვალი.

11) კრებამ მიანდო გამგეობას გაარიგოს შაბიამან-გოგირდის საქმე.

12) კრებამ დაადგინა 8% მიეცეს სარგებლად ფულს, რომელსაც ამხანაგობაში მიაბარებენ.

13) კრებამ დაადგინა ვალის გადახდის დაგვიანებულს წინა წლების ჩვეულებისამებრ ჯარიმა გადახდეთ 1 პროც. თვეში.

დამსწრე

სოფ. კისისხევი. (თელავის მაზრა). ამას წინეთ ამ სოფელში გავლა მომიხდა. გავიარე ერთ უბანში და შევხედე ეზოს კარების წინ ხეებზედ ეკიდა მკვდარი ქათმები, იხვები და ბატები. ამას ყურადღება არ მივაქციე. გავსცილდი სოფელს და იქვე სოფლის ბოლოს ვენახების პირზედ საკვირველება წარმომიდგა; რამოდენიმე თითობით გაშლილი ეყარა: ქათმები, იხვები და ბატები. თურმე ამ სოფელში ფრინველის ხოლერა გაჩენილა. ასე დაუდევრად ჰყრიან დახოცილს ფრინველებს, და რასაკვირველია მოსპობის მაგივრად თანდათან გავრცელდება ფრინველის ხოლერა. ყურადღებას კი არავინ აქცევს. როგორც მიამბეს, სადილამდის ფრინველს ერთ შეაჟრჟოლებს, გადაიქცევა და მოკვდება ხოლმე.

საჭიროა სოფლის მოხელეებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, რომ დახოცილ ფრინველს მცხოვრებნი სოფლის ქუჩებში არა ჰყრიდენ, არამედ—მიწაში ამარხვინებდენ ხოლმე პატრონებს, როგორც ამას დახოცილს საქონელს უშვრებიან რომ უფრო არ გავრცელდეს ფრინველის ხოლერა. თორემ ასე სხვა სოფლებშიაც გადავა თუ უკვე არ არისგადასული.

ვენახებში გახურებული მუშაობაა. ამინდიც ხელს უწყობს მუშაობას. დღიური ხელფასი 50 კ.-ია პატრონის ხარჯით. რკინის გზაზედაც გამალებული მუშაობაა. მუშის დღიური ფასი თავისი ხარჯით ჯერჯერობით ერთი მანეთია, მაგრამ მუშის ფასს თანდათან ემატება, რადგანაც ილდაჯანში ნავთი აღმოჩნდა და დიდი მუშაობა იწყება...

ქართველი ოხებში ნამყოფი.

დილთ-კოურთ-ბოსლევის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა (ზემო იმერეთში) მეორე წელიწადია, რაც არსებობს. დაარსებიდან ძირითადი თანხა აქვს 2000 მანეთი და მოკლე ვადიანი—3000 მ. ამ ამხანაგობის საზოგადო კრება მოხდა იანვრის პირველ რიცხვებში; აირჩიეს კომისია და დაავალეს მომავალი საზოგადო კრებისათვის წარედგინათ წასული წლის ანგარიში. შემდეგ კრებაზე, 30 იანვარს, დაესწრო ბათუმის სახელმწიფო ბანკის ანგარიშის მწარმოებელი ბ-ნი გელოვანი. კრება გამოაცხადეს კანონიერად. 148 წევრიდან გამოცხადდა 63. გამოაცხადეს წასული წლის ამხანაგობის მოქმედება, სხვათა შორის, მოგება 33 მან. და 88 კაპეიკი, რომელიც საკუთარ ძირითად თანხად ჩარიცხეს. შემდეგ დაიწყო არჩევნები ამხანაგობის გამგეობის და საბჭოს წევრებისა. ახალი გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მღვდელი ა. აბულაძე, რომელსაც ასი მანეთი დაუნიშნეს წელიწადში. ძველი გამგეობის წევრებიდან მხოლოდ ერთი აირჩიეს ახალ გამგეობაში. არჩევნები ზოგმა უკანონოდ ჩასთვალა და სათანადო ადგილას განასაჩივრა.

ნემის.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

4 მარტი.

უცხოეთი.

ბენგაზი. ლატინის რაზმმა არაბები გაჰფანტა და იტალიის დროშა გედაბიის ციხეზე ააფრიალა. იტალიელებს ზარალი არ მოსვლიათ. კრიტრის ბატალიონი 1 მარტს მარანში მივიდა, გზაში მტერი საშინლად დაზარალა. გენერალმა კანტორემ მტერი უკუაგდო და ორს მარტს კარუბე დაიჭირა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. იტალიელების მხრივ ზარალი ცოტაა.

რომი. სტეფანის სააგენტო გადაჭრით უარჰყოფს ლონდონში გამოქვეყნებულ ცნობას, ვითომც იტალიას ოსმალეთისთვის თორმეტ-კუნძულის ევაკუაციის მაგიერი მოთხოვნილება წარუდგინოს: იტალიას ოსმალეთისთვის ჯერ არავითარი მოთხოვნილება არ წარუდგენიაო.

პარიზი. ფინანსთა მინისტრი კაიო გადადგა. მის ადგილას დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრი რენუ, შინაგან საქმეთა მინისტრად ვაჭრობის მინისტრი მალვი დაინიშნა, მის ადგილას სტატს-სეკრეტარის თანაშემწე რაულ ფერრო.

დურაცო. იუსტიციის მინისტრად დანიშნულმა მუფიდ-მეიმ თხოვნა შეიტანა საერთაშორისო საკონტროლო კომისიის წევრებიდან გამანთავისუფლეთო.

თეირანი. ახლად მოსული ოსმალეთის ელჩი სალარბაზოდ შაჰმა და რეგენტმა ბრწყინვალედ მიიღეს. ელჩმა თავისი რწმუნების საბუთები წარუდგინა.

ისპაჰანი. გენერალ-გუბერნატორმა ჯარი გაგზავნა ყაჩაღთა ბრბოს შესაპყრობად. 3 მარტს ყაჩაღებმა ისპაჰანიდან 30 ვერსის მანძილზე აიკლეს სოფელი, ხოჰკლეს 6 კაცი, რამდენიმე დასჭრეს. რუსეთის საკონსულოში გაასამართლეს სპარსელი აზიზი, რომელსაც საკონსულოს აგენტის შვილის მოკვლა უნდოდა. აზიზს ერთი თვით ციხე გადაუწყვიტეს.

რომი. როგორც მომავალი მინისტრ-პრეზიდენტის დაახლოვებული პირები ამბობენ, ახალი კაბინეტის შედგენა უკვე დამთავრებულია. მინისტრ-პრეზიდენტი სალანდრა ამავე დროს იქნება შინაგან საქმეთა მინისტრად, მარტინი—ახალშენებისა, რუბინი—ფინანსებისა, დანეო—იუსტიციისა, ბალლი—საზღვაო, ფუზინატო—სახალხო განათლებისა, ჩუფელლი—საზოგადო სამუშაოსი, რიჩო—მიწად-მოქმედებისა, დარი ფოსტისა, გენერალი გრანდი—სამხედრო. კაბინეტის შემადგენლობაში სამი კონსტიტუციონ.-დემოკრატიც შედის. კაბინეტი ლიბერალ-დემოკრატიული იქნება.

ლარედო. მექსიკის ჯარმა გუსტამონდეს ახლო აჯანყებულნი დაამარცხა, რომელთაც 500 კაცამდე მოუკლა და დაუხოცა.

პარიზი. დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტს ოგანიერის არტისტმა ქალმა პოლინაანრიმ ორი სილა გაარტყა. თავისი საქციელი მან კერძო ხასიათის მიზეზებით ახსნა.

ლონდონი. „წარმოდგენის დროს თეატრ „პალადიუმში“, სადაც მეფე და დედოფალიც იყვნენ, სუფრაჟისტ ქალებმა არეულობა მოახდინეს. პოლიციამ 10 ქალი დააპატიმრა.

ტოკიო. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს გამგე გონდო დაატუსაღეს. სიმენსის საქმეში მას 10000 იენი მიუღია. მიტსუის ფირმის ბოროტმოქმედება საფლოტო იჯარის საქმეში, პულეს ჩვენებით გაიგეს.

პარიზი. კალმეტი გარდაიცვალა.

ჰომრული.

ლონდონი. როგორც ბელფასტიდგან გაზეთები იუწყებიან 4000 მხედარი, რომელთაც სამხრეთ-აფრიკაში უბრძოლიათ, ულსტერის მილიციაში ჩაეწერა. ეს ულსტერის მომხრეთა პასუხია ჰომრულის საკითხის შესახებ მთავრობის წინადადებაზე.

რუსეთი.

პეტერბურგი. ცნობათა ბიურო მინისტრთა საბჭოს დავალებით, გადაჭრით აცხადებს, რომ სიმართლეს მოკლებულია ხმები და გაზეთების ცნობები, ვითომც შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი თანამდებობას თავს ანებებდეს.

საოლქო სასამართლომ ექვსი თვის სატუსაღო მიუსაჯა „რუსკოე ზნამია“ რედაქტორს, რომელსაც „რუსკი ინვალიდის“ რედაქტორი უწოდა.

მთავარი შტაბის უფროსი კავალერიის გენერალი ჟილინსკი ვარშავის გენერალ-გუბერნატორათ და ვარშავის ოლქის ჯარების უფროსად დაინიშნა.

ალუპკის სამრეწველო სკოლების ახალშენის მზრუნველმა ასეევმა 50.000 მანეთი შესწირა ჩლექიანთა განყოფილების მოსაწყობად.

ვლადივოსტოკი. ხაბაროვსკის ქალაქის გამგეობის წევრი, რომელმაც 32,000 მანეთი გაფლანგა, ქალაქის ბაღში თავ-ჩამოღრჩობილი ნახეს.

ჟიტომირი. კიევის გენერალ-გუბერნატორის თანადასწრებით თათბირი მოხდა სერვიტუტების გაუქმების დროს მიწების ღირებულების სანაზღაურებლად და დაადგინეს, მიწად-მოქმედების უწყების ფასებს დაემყარნენ.

ქარიშხალი.

ნოვოჩერკასი. ახალი ცნობები მოვიდა ქარიშხალისაგან დაზარალებულთა შესახებ. სოფელ გოსუდარევოში დაიღუპა 6, კაგალნიკში—18, ნახიჩევანჩიკში—20 კაცი. სხვა სოფლებში დაღუპულთა რიცხვი დანამდვილებით არ იციან. ბევრი ოჯახობა დაიღუპა.

ბერლინი. გერმანიის სხვა და სხვა ადგილას მძვინვარებს ქარიშხალი. მეცში ძალიან დაშავდა რადიო-ტელეგრაფის სამხედრო სადგური. ქარმა სიმაღლით 80 მეტრიანი რკინის შენობები წააქცია.

ასტრახანი. ქარიშხალმა დიდი ზარალი მოიტანა. დაიმტვრია და ჩაიძირა 150 ხომალდზე მეტი.

ცარიცინი. ცარიცინის ქვემოდ სოფელ პოპოვკის ახლო დაიხრჩო ხუთი კაცი.

ეკატერინოდარი. ახტირაში დაასაფლავეს 85 მსხვერპლი ქარიშხალისა. დამხრჩვალებს კიდევ ეძებენ.

ბრიუსელი. შაბათს აქედ ქარი მძვინვარებს. ტელეგრაფისა და ტელეფონის გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისთან შემაერთებელი მავთულები დაწყვეტა. მდ. შელდემ საგუბარები გაანგრია. ქალაქი წყალმა მოიცვა.

კონსტანცი. ბოდენის ტბაზე გუშინ დილით ქარიშხალი დაიწყო. ბაღები გააფუჭა.

ვენა. საღამოთი დაიწყო ქარიშხალი და წვიმა. ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტა.

ლონდონი. ქარიშხლის გამო ევროპასთან შემაერთებელ ტელეფონის მავთულები დაწყვიტა. დეპეშებს ფოსტით ჰგზავნიან.

ფრენა.

სან-სებასტიანი. მფრინავი გაგუილი ასი ადლის სიმაღლიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

წერილი რედ. მიმართ

თავად იოსებ იულიანეს ძემ დადიანმა და ვასილ მიხეილის ძემ ქიქოძემ შემოსწირეს ქუთაისის ქალთა საზოგადოებას ათ-ათი მანათი, რისთვისაც გამგეობა დიდ მადლობას სწირავს.

გამგეობა.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23 **საბარგ.-სამგზ.**, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. **ფომინა-ოხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ი. მ. **ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 ნ. დ. **ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 გ. თ. **ხათიაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 გ. ა. **მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდ საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგუშაგო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ჩალაქის მოედანზე.

ემ. ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
ჭილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაბახანოვი: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.
ზ. ა. ბ ბანისოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეჟტინანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ლ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:
მ. გ. ბეჟტინანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

ექიმი ქალი ნინო რცხილაძე
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.

ექიმი მ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

მანუფ. ლავკა
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.